F567 ~ 3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!


საბჭოეთის საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 2 (162)

იანვარი, 1967 წელი



სურათზე: ქ. ტყიბული, კულტურის სასახლე.

აჩვენებს სსრ კავშირი

როგორია 1966 წლის საბჭოთა გამოფენის შედეგები? რას აჩვენებს საბჭოთა კავშირი საზღვარგარეთ 1967 წელს? ამას მიეძღვნა ახალი ამბების სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტის ა. ტარადანკინის საუბარი საკავშირო სავაჭრო პალატასთან არსებული საზღვარგარეთ საბჭოთა გამოფენების სამმართველოს უფროსთან რ. ზორინთან.

განვლილი წელიწადი შემოგვცქერის კარადების თაროებიდან დიპლომების ფერადფერადი ყდებით, სამახსოვრო მედლების მუქი ბრინჯაოთი, სიგელების ვარაყიანი ასოებით, სავაჭრო პალატის მრავალრიცხოვანი საჩუქრებით. უკვე მარტო ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს წელიწადი შედეგიანი იყო.

— მარტო ლაიფციგის, ბრნოსა და პლოვდივის ბაზრობებზე საუკეთესო საბჭოთა ექსპონატებმა 23 ოქროს მედალი მოიპოვეს, — გვიამბობს ზორინი. — სულ 1966 წელს საზღვარგარეთ „სტუმრად იყო" საბჭოთა კავშირის ათასობით საწარმოს მიერ წარდგენილი 60 ათასი ექსპონატი. ზოგიერთი ექსპონატი მარტო „სტუმრად" კი არ წავიდა, არამედ მუდმივად სამუშაოდ გაემგზავრა — მხედველობაში მაქვს მანქანები, ხელსაწყოები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ბეწვეული...

ბევრი დამთვალიერებელი იყო საბჭოთა გამოფენებზე?

არასრული გამოანგარიშების მიხედვით გამოფენები დაათვალიერა 20 მილიონმა კაცმა. სსრ კავშირი შარშან მონაწილეობდა 15 საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე. ჩვენთვის დათმობილი საერთო საექსპოზიციო ფართობი 77.000 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, ამასთან მისი უმეტესი ნაწილი დახურული იყო.

წინა წლებთან შედარებით რა სიახლით აღინიშნა 1966 წელი?

ბაზრობებისა და გამოფენების გარდა ლაიფციგში, ბუდაპეშტში, პოზნანში, დამასკოში, ბრნოში, იზმირში, სადაც ტრადიციულად ვმონაწილეობთ ხოლმე, ჩვენი ექსპონატები ფართოდ იყო წარმოდგენილი უტრეხტში (ჰოლანდია) და აზიის ზოგ ქვეყანაში. სავაჭრო-სამრეწველო საქონლის გამოფენა გავმართეთ რანგუნში (ბირმა), ფართო მოხმარების საქონლისა — ფხენიანში (კორეის სახალხო რესპუბლიკა). ერთ-ერთი უდიდესი იყო საბჭოთა სამრეწველო-სავაჭრო გამოფენა იაპონიაში, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა მიიღო აზიის პირველ საერთაშორისო ბაზრობაზე ბანგკოკში (ტაილანდი). ეს იყო ჩვენი ეკონომიური კავშირის შემდგომი გაფართოების წელიწადი. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა ბევრი ხელსაყრელი ხელშეკრულება დადეს მანქანების, ჩარხების, ფართო მოხმარების საგნების სხვა ქვეყნებისათვის მისაწოდებლად. გაფართოვდა ექსპორტისათვის განკუთვნილი საბჭოთა საქონლის ასორტიმენტის სია. ასეთი შედეგებით შევხვდით ახალ წელიწადს.

თუ შეიძლება ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით გვიამბეთ. საბჭოთა ხალხისათვის 1967 წელი საიუბილეოა. როგორც ჩანს, ეს თავის გამოხატულებას იპოვის ექსპოზიციებში?

— უეჭველად. იმაზე, თუ როგორ გავახორციელოთ ეს ამოცანა, ახლა ასობით სპეციალისტი შრომობს: მხატვრები, კონსტრუქტორები, მემაკეტეები, ეკონომისტები. სხვადასხვა წინადადება მოგვდის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებებიდან, წარმოებებიდან, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან 1967 წლის საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. სსრ კავშირი წლეულს 15 გამოფენასა და ბაზრობაზე მიიღებს მონაწილეობას.

— ყველაზე პასუხსაგებ საქმედ ვთვლით მომზადებას მონრეალში მსოფლიო გამოფენისათვის, სადაც საბჭოთა კავშირი ძალზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, გამოფენა გაიხსნება 28 აპრილს და ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება. ამაზე უკვე არა ერთხელ დაიწერა პრესაში. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მასალების, ფოტოსურათების, ექსპონატების, თემატიკური გეგმების შინაარსი ემსახურება ერთ მიზანს — რაც შეიძლება სრულად ასახოს სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრება, მათი წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის განმავლობაში. მზადება კარგა ხანია მიმდინარეობს, კანადაში უკვე გაიგზავნა ექსპონატები.

საიუბილეო წელიწადი ასახვას პოვებს ჩვენს ექსპოზიციებში ცალკეული მოძმე რესპუბლიკების მიღწევათა ჩვენების დროსაც. ლაიფციგის გაზაფხულის ბაზრობაზე დამოუკიდებელი ექსპოზიციით წარდგება ბელორუსია, ზაგრების ბაზრობაზე — ლატვია, შემოდგომაზე დამასკოში — სომხეთი, ალჟირში — საქართველო, იზმირში — უზბეკეთი, პლოვდივში — მოლდავეთი. გამოფენები საშუალებას მისცემს დამთვალიერებელს გაეცნოს ამ რესპუბლიკების კულტურისა და ეკონომიკის განვითარებას, სახალხო მეურნეობის წარმატებას საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის განმავლობაში.

ყველა გამოფენაზე მეტ-ნაკლებად იქნება ასახული საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. მაგრამ ყველაზე მეტად ეს გამოჩნდება სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა გამოფენაზე ბუდაპეშტში, რომელიც სექტემბერში გაიხსნება.

ოქტომბერ-ნოემბერში დამთვალიერებლებს მიიღებს 1967 წელს ჩვენი ყველაზე დიდი ეროვნული გამოფენა საზღვარგარეთ — ბუქარესტში. ეს იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა დემონსტრაცია. გამოფენას დაეთმობა 20 ათასი კვადრატული მეტრი.


დასახელებულის გარდა, საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო გამოფენებზე, გაზაფხულზე — ტრიპოლსა (ლიბია) და ბუდაპეშტში, შემოდგომაზე ლაიფციგში, ბრნოსა და სალონიკში (საბერძნეთი).

ეჭვს არ იწვევს, რომ საიუბილეო, 1967 წელს საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო გააფართოებს თავის საგარეო სავაჭრო კავშირს, შეიძენს ახალ პარტნიორებს საზღვარგარეთ.

აჭარის

ჯერ კიდევ სამოცდაათიოდე წლის წინათ გაზეთი „ივერია" ბათუმის შესახებ წერდა: „სამხრეთით ბათუმს არტყია კარგა ბლომა მანძილზე ჭაობები. როგორც ყველგან და ყოველთვის, ისეც აქ ეს ჭაობები, სავსენი არიან მიაზმებით, რომელნიც სწამლავენ ჰაერს. ეს ჭაობები ისეთ შენელებულს და შეზავებულს ჰაერს სთავაზობენ ჩვენს ფილტვებს, რომ ღმერთმა თქვენ მტერს". ასეთი იყო გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბათუმი „თავისის დამპალის ტბით, ჯაიანის სალორით, გაბრიელას ბოსლით, მედროგეთა სახინიბოებით".

ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა აჭარის დანარჩენი



სურათზე: ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობა.

ნაწილი, თუ მის თითქმის ერთადერთ დაწინაურებულ ქალაქს ასეთი სახე ჰქონდა.

თითქმის ორი საუკუნის მანძილზე იყო მოწყვეტილი აჭარა საერთო ქართულ ოჯახს, და რა გასაკვირია, უძველეს ქართულ მიწას ჩამორჩენილობის და სიღარიბე-გავერანების იერი დასდებოდა.

რა დიდია სხვაობა ძველსა და ახალ აჭარას შორის!..

დღევანდელი აჭარა ჩვენი ქვეყნის შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი წამყვანი მხარეა სუბტროპიკულ მეურნეობაში, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ჩაის უჭირავს. თუ ძველ აჭარაში მეტად უმნიშვნელო ფართობი ეკავა ჩაის, ახლა ჩაქვის, ოჩხამურის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობების „მწვანე ოქროს" პლანტაციები ათასობით ჰექტარზეა გადაჭიმული.

აჭარა პირველია ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც აითვისა სახელგანთქმული ჩაის „საქართველოს თაიგულის" გამოშვება. დღეს ეს „თაიგული" მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მცხოვრებთა მაგიდას ამშვენებს.

„შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს მეჩაიეებმა, რომლებმაც მოკრიფეს 95.557 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 3.797 ტონით აღემატება გეგმას და 2.797 ტონით სოციალისტურ ვალდებულებას";

„რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის დაფნის ფოთლის, ყურძნის, რძის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის, უხეში ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა";

„სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის რესპუბლიკა ფართო ჩვენებით წარდგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და მეორედ დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით";

აი, რას წერს სამოცდაათიოთხმოციოდე წლის შემდეგ „ივერიის" თანამოძმე, გაზეთი „საბჭოთა აჭარა".

თუ რევოლუციამდელ აჭარაში მრეწველობის ძირითად დარგებს ბაქოდან მიღებული ნავთის საექსპორტოდ ჩამოსხმა და ნავთის ტარის წარმოება შეადგენდა, ახლა იგი მრავალსახოვანი გახდა. შესაბამისად იმატა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვმაც. ჯერ მარტო ბათუმში მუშაობს ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათმშენებელი, ხისდამმუშავებელი, ტყავის ქარხნები, ფეხსაცმლის, საქსოვი, ავეჯის ფაბრიკები და სხვ.

აქაური მაჰმადიანი ქართველები ყველაზე უფრო დაჩაგრულად თვლიან თავსო, — ვკითხულობთ „ივერიაში". მაგ-

ახალი მზე

რამ იგივე გაზეთი იმედს გამოთქვამდა „დრო მოვა, რომ ისინიც შევლენ საზოგადო ცხოვრების მორევში“ და კვლავ წელგამართული ივლიდნენ. არც შემცდარა! ახალმა დრომ აჭარელ გლეხკაცს ხელფეხი გაუხსნა. დღის სინათლეზე გამოიყვანა და სამყარო სულ სხვა თვალით დაანახა.

აი, მაგალითიც:

1897 წლის გაზაფხულის ერთ დღეს სოფელ სალიბაურს იმ დროს განთქმული ჩაის ვაჭარი ქ. პოპოვი ეწვია. იგი აქ თავისი პირველი ჩაის ფაბრიკის მშენებლობის დასათვალიერებლად მოვიდა. ნამგზავრ ვაჭარს ბიჭმა დოქით წყაროს წყალი მიურბენინა. რას წარმოიდგენდა განთქმული სოვდაგარი, რომ სწორედ ეს ბიჭი, შემდეგში ამავე ფაბრიკის უბრალო მუშა დ. ჟღენტი, საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ ჩაის ფაბრიკის პირველი დირექტორი იქნებოდა.

სახე იცვალა თვით ბათუმმაც. სადღაა მისი ჭაობიანი ადგილები. ახლა იქ მოასფალტებული, მხარფართო გზებია გაყვანილი და ტანმაღალი შენობები ამშვენებს მათ. დღითიდღე მშვენდება ქალაქი. „საბჭოთა აჭარა“ სასიხარულო ცნობას აუწყებს მკითხველებს იანვრის ერთ-ერთ ნომერში: „1966 წელს ბათუმში პირველად აშენდა — 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. რუსთაველის ქუჩაზე აღმართა ორი საცხოვრებელი სახლი. გორკის ქუჩის გაგრძელებაზე აშენდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს ფილიალის შენობა“.

და არა მარტო ქალაქად.

აჭარის სოფლები, სადაც ძველად პირველობა მხრჩოლავ ჭრაქს ეკავა და უბრალო ეტლის გამოჩენაც კი უჩვეულო სანახავს წარმოადგენდა, დღეს კეთილმოწყობილ სახესა და იერს ღებულობს. „ბევრი გაკეთდა სოფლების ელექტროფიკაციისათვის, — ვკითხულობთ გაზეთის ფურცლებზე. — ელექტროფიცირებულია თითქმის ყველა კოლმეურნეობა. ამ დღეებში ჩაირთო ხულოსა და შუახევის რაიონის მთელი რიგი სოფლები. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ხოჭურის მაღალი ძაბვის ქვესადგური, რომელიც მალე მიაწვდის ენერგიას სოფლებს“.

დღევანდელი აჭარა წარმოუდგენელია ოქროსფერი ციტრუსების უპლანტაციოდ. ვინ მოთვლის ჩვენი ქვეყნის რამდენ ოჯახში დამშვენდა საახალწლო სუფრა მათი ხაყოფით. ახალი წლის სულ რაღაც ორიოდე კვირა იყო გასული, რომ სასიხარულო ამბავი ეუწყა სამშობლოს. „აჭარელმა მეციტრუსეებმა 12 იანვრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 30 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს ხუთწლედის პირველი წლის გეგმაც და ვალდებულებაც“. 12 იანვრისათვის სამშობლომ მიიღო გეგმით გათვალისწინებულზე 14.132 ტონით მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

სამშობლოს ფარგლებგარეთ გადის ქართული მიწის ბარაქა. არა მარტო ეს. აჭარელთა ნახელავს — ელექტროკარებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იცნობენ. ბათუმელთა ნაწარმს — წყალქვეშაფრთებიან კატარღებს კი იძენენ ისეთი ქვეყნები, როგორიც არის იტალია, ინგლისი. საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები.


უმაღლესი სასწავლებლები ასობით სკოლა, პროფტექნიკური სასწავლებლები, კულტურის კერები, საქვეყნოდ ცნობილი კურორტები — აი, ახალი დროების ნაყოფი და ნაღვაწი

დღითიდღე ჰყვავის და მშვენდება აჭარა. ეს კი „ცხოვრების მორევში შესულო“ აჭარელ მშრომელთა მარჯვენისა და გამრჯე შრომის მადლია. ესენი არიან ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ კოჭების გადამხვევი დ. ცნობილაძე, ბათუმის დასამუშავებელი კომბინატის მოსამზადებელი საამქროს მოწინავე მედაზგე შ. მაჭუტაძე, ბათუმის რაიონის მეჯინისწყლის კოლმეურნეობის მეციტრუსე გ. დილიძე, ხიხაძირის კოლმეურნეობის მეთამბაქოე გ. ხალვაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთის მეციტრუსე გ. ქათამაძე და მრავალი სხვანი. მათ რიცხვს რა გამოლევს.

ვადის დღეები. ყოველ დღე ახალ-ახალ შრომით გამარჯვებებს უპატაკებს სამშობლოს განახლებული აჭარა.

ნ. ხიმშიაშვილი.

* * *





სურათებზე: ზემოთ, დაბა ქედას ცენტრის საერთო ხედი, ქვემოთ — ქობულეთში თბილი, მზიანი დღეებია, სანატორიუმი „ქობულეთი“.

აქ მარად გაზაფხულია

ბათუმი. ზამთრის ამ დღეებში, ქალაქ ბათუმის ოქტომბრის პროსპექტზე მდებარე ყვავილების მაღაზიები სავსეა ნაირნაირი ყვავილებით. ყვავილის მოყვარულნი ყიდულობენ მიხაკს, ფრინტას, უკვდავასა და სხვა ყვავილებს, რომლებიც ღია ცისქვეშაა გამოყვანილი ბათუმის საქალაქო კომუნალური მეურნეობის მწვანე ნარგავთა ტრესტის სასელექციო ნაკვეთზე.

ასეთი ყვავილები მარტო აქ როდი იყიდება. მათ გზავნიან ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და დიდ სამრეწველო ცენტრებში.

ზამთრის დღეებში სხვადასხვა შეფერილობის ყვავილი ამკობს ქალაქის პარკებს, სკვერებსა და გაზონებს, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ტერიტორიას. მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ქობულეთში, აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე, ყვავის კამელიები, გერბერები, სუმბულები, ნარგიზები, როზმარინები, ჰორტენზიები, ზიზილები და სხვ.

განსაკუთრებით მომხიბლავია ზამთრის დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი მწვანე კონცხზე. მსოფლიოს ეგზოტიკურ მცენარეთა ამ უმდიდრეს საგანძურში, რომლის კოლექციაშიც 5 ათასამდე სახეობა და ნაირსახეობაა, დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აყვავებული კამელია. ყვავის მრავალფურცლა კამელია, ვარდისფერი დიდყვავილა და სხვა ჯიშის კამელია.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ახლა ასზე მეტი ჯიშის კამელიაა. ეს არის კამელიის დიდი კოლექცია. ამას წინათ იგი შეივსო ორი ოშვიათი ეგზემპლარით. ეს კამელიები გაცვლის სახით გამოგზავნა ინგლისის კამელიის გაშენების საზოგადოებამ.

კოკრებით დახუნძლულა მიმოზას ხის ტოტები. აჭარა სამართლიანად ითვლება მარადიული გაზაფხულის მხარედ.

ᲛᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

მაგნიტი და მოსავალი

თუ პომიდორს მაგნიტურ ველში მოვათავსებთ, იგი გაცილებით სწრაფად მწიფდება, ამასთან, უფრო სწრაფად მწიფდება მაგნიტის სამხრეთ პოლუსთან, ვიდრე ჩრდილოეთ პოლუსთან. მაგნიტური ძალების იდუმალი გავლენა ცხოველთა და ადამიანის სიცოცხლის პროცესებზე ბიოლოგთა, ექიმთა, აგრონომთა და ქიმიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მეცნიერები ინტენსიურად იკვლევენ სხვადასხვა ნივთიერების მოქმედებას მაგნიტურ ველში, რადგან მისი საშუალებით შეიძლება ზემოქმედება მოვახდინოთ ნივთიერებათა თვისებაზე და რეაქციებზე, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ ეს იქნება ლაბორატორიულ კოლბაში თუ რეაქტორში, ან თვით ცოცხალ ორგანიზმში.

უკვე ახლა მივაღწიეთ დიდმნიშვნელოვან შედეგებს იმ კვლევაში, თუ რა გავლენას ახდენს მაგნიტური ველი ბიოლოგიურ ობიექტებზე. მაგალითად, იგი აყოვნებს დაბერებას, ზოგიერთი დაავადების გამომწვევი მიკრობის გამრავლებას. მაგნიტურ ველს შეუძლია აგრეთვე გავლენა მოახდინოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე.

ამ ახალგაზრდა მეცნიერებაში — მაგნეტოქიმიაში თავიანთი წვლილი შეაქვთ **ქართველ მეცნიერებსაც.** ისინი სწავლობენ მცენარეზე დაბალი სიხშირის ცვლადი მაგნიტური ველის გავლენას. ასეთი მაგნიტური ველის მოქმედება ბიოლოგიურ **ობიექტებზე,** კერძოდ, სათეს მასალაზე, დღემდე ხალხებად იყო შესწავლილი. ამ დარგში ერთობლივ კვლევას ეწევიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოფიზიკოსები **ტ. გ. ჟღენტი, ქ. ა. ნიშნიანიძე** და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი პროფესორების **ი. ფ. სარიშვილისა** და **ნ. ი. ჩხენკელის** ხელმძღვანელობით.

მეცნიერთა პირველმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ ფერმენტები, ნივთიერებანი, რომლებიც ძირითად როლს ასრულებენ ცოცხალი ორგანიზმების განვითარებაში, ცვლადი მაგნიტური ველის გავლენით, მკვეთრად ზრდიან თავიანთ აქტივობას. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ მაგნიტური ველის სიხშირეზე დამოკიდებულია მარცვლეულის — **ხორბლისა** და **სიმინდის** მოსავლის გადიდების ეფექტიც. ამასთან თითოეული კიშის თესლისათვის საჭიროა გარკვეული ოპტიმალურ-მაქტიმულირებელი სიხშირე და ინტენსივობა. ეს მონაცემები, ისევე როგორც თესლის დამუშავება მაგნიტურ ველში, შეირჩევა ცდების გზით.

სხვადასხვა ჰავისა და ნიადაგის პირობებში დათესილი „დამაგნიტებული“ თესლი იძლევა უფრო უხვ მოსავალს, ვიდრე საკონტროლო აღმონაცენი. როშლის თესლი მაგნიტურ ველში არა ყოფილა. საინტერესოა, რომ „დამაგნიტებულ“ მარცვლეულთა მცენარის სავეგეტაციო პერიოდი მცირდება რამდენიმე დღით.

ხორბლის თესლი ცვალებადი მაგნიტური ველის გავლენით საშუალოდ მოსავლიანობას ადიდებს რვა, ხოლო სიმინდის თესლი — 25 პროცენტით. ამაში დარწმუნდნენ რესპუბლიკის 20 კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები, რომლებმაც გამოიყენეს მარცვლეულ კულტურების თესვისწინა დამუშავების ახალი მეთოდი.

მაგნიტური სტიმულატორი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში პირველი შერცხალია, რომელიც მაგნეტოქიმიკოსთა ლაბორატორიიდან გამოვიდა. თესვისწინა დამუშავების ახალმა მეთოდმა გამოცდა გაიარა 1500 ჰექტარზე და დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა. ქართველი მეცნიერები განაგრძობენ ექსპერიმენტულ კვლევას პარკოსან, ბაღჩეულ და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე.

ეიფელის კოშკის თბილისელი „დობილი“

დამტკიცდა თბილისის ახალი 270 მეტრი სიმაღლის სატელევიზიო კოშკის პროექტი. როგორც ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსმა ვახტანგ ყუბანეიშვილმა, კოშკი მთაწმინდაზე აშენდება არსებული კოშკის გვერდით. კოშკი წარმოადგენს არასიმეტრიულ სამწახნაგოვან პირამიდას. ერთი სარტყელი ვერტიკალური აქვს, ორი კი დახრილი. ვერტიკალურ სარტყელში იქნება სამგზავრო და სატვირთო ლიფტები.

ლითონის კოშკის 71 მეტრ სიმაღლეზე აშენდება შენობა რადიორელეური დანადგარებით, რომელიც უზრუნველყოფს ტელეგადაცემების მიღებას მოსკოვიდან, ბაქოდან და ერევნიდან. 155 მეტრ სიმაღლეზე აშენდება ორსართულიანი ტექნიკური შენობა. იგი აღჭურვილი იქნება მოწყობილობით, რომელიც განკუთვნილია მოძრავ ობიექტებთან სატელევიზიო კავშირისათვის.

ახალი სატელევიზიო ანძა 90 მეტრით უფრო მაღალი იქნება ვიდრე ახლანდელი. ახალი კოშკის მშენებლობასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ძველის დემონტაჟი და გადამცემი სატელევიზიო რადიოსადგურის რეკონსტრუქცია, რაც უზრუნველყოფს ორპროგრამიან, შემდგომში კი სამპროგრამიან მაუწყებლობას. გარდა ამისა დაიდგმება ახალი რადიორელეური აპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს სატელევიზიო გადაცემების მიღებას მოსკოვიდან და მათს რეტრანსლაციას მთელ რესპუბლიკაში.

გათვალისწინებულია, რომ არსებულ ტექნიკურ შენობას მიაშენებენ ახალ შენობას, სადაც დაამონტაჟებენ ახალ სატელევიზიო გადამცემებს. შემდგომში აქ დადგმენ სპეციალურ აპარატურას ფერადი ტელევიზიისათვის.

ახალი სატელევიზიო კოშკის მშენებლობა წელს დაიწყება.

ექვსი ახალი

1967 წლიდან შემოიღებენ ექვს ახალ სრულიად საკავშირო ტურისტულ მარშრუტს, რომლებიც საქართველოზე გაივლის. ეს მარშრუტები გადაჭრიან მთავარი კავკასიონის ძნელად სავალ ადგილებს. ისინი პირველი კატეგორიის ჩასთვლელი მარშრუტებია.

გროზნოში იწყება ტურისტული მარშრუტი „ჩაჩნეთ-ინგუშეთი და საქართველო“. მარშრუტი გაივლის დათვისჯვრის უღელტეხილს, ჩარგალს, ახუნის უღელტეხილს, სოფელ სიონს, თელავს, თბილისს. მომხიბლავი მოგზაურობა მთავრდება მწვანე კონცხზე 6 დღის დასვენებით.

მარშრუტი „დაღესტნიდან საქართველოში“ იწყება მახაჩყალიდან. ტურისტები გუნიბში დაათვალიერებენ შამილის ციხე-სამყარეს, ლაგოხედის ნაკრძალს. ქალაქ ლაგოდეხიდან მოგზაურნი გაემართებიან თელავში, თბილისში, იქიდან კი მწვანე კონცხზე.

20 დღეს გაგრძელდება მოგზაურობა პიატიგორსკიდან ადლერამდე მარშრუტით „რიწის ტბისა და შავი ზღვისაკენ“. ტურისტები ლაშქრობას მოაწყობენ რიწა-ავადჰარის ნაკრძალში, ავადჰარის მაღალი მთის კურორტებზე ოთხი დღის ყოფნის შემდეგ ჩავლენ რიწის ტბაზე და გაგრის გავლით — ადლერში.

სოჭიდან იწყება მარშრუტი „რიწის ტბისაკენ“. სოჭი-ადლერი-კრასნაია პოლიანა-კარდავაჩის ტბა-ავადჰარა-რიწის ტბა-ადლერი. ასეთია ამ მარშრუტით ტურისტთა გზა. მეორე ასეთი მარშრუტი იწყება ადლერში და მთავრდება სოჭში.

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲔᲑᲘ



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲛᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ.

დამზადებულია საქართველოში

სამრთაშორისო ბაზარზე სულ უფრო იხვეჭს სახელს საქონელი, რომელზეც წარწერილია „გაკეთებულია სსრ კავშირში“. წლითიწლობით დიდდება ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში დამზადებული მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების ექსპორტი.

— საქართველოს გარკვეული ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში, — განუცხადა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილმა.

რესპუბლიკისათვის ტრადიციულ დამახასიათებელ საექსპორტო საქონელთან ერთად, როგორიცაა ფეროშენადნობები, ჩაი, „ბორჯომი“, ღვინო, კონიაკი, ჯემი და მრავალგვარი მურაბა, ამჟამად ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლითონსაჭრელ და სახეხ ჩარხებს, მაღაროს ელმავლებს, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, მიწასაწოვებს, სხვადასხვა დანიშნულების ფოლადის მილებს, წყალქვეშაფრთიან კატარღებს, ელექტრომექანიკურ მანქანებს.

უცხოელი შემკვეთებისათვის პროდუქციას ამზადებს რესპუბლიკის 120 საწარმო. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა იმ საექსპორტო საქონლის მოცულობა, რომელსაც საქართველო ამზადებს. მაგალითად, საზღვარგარეთის ქვეყნებში მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის მიწოდების მოცულობა 1966 წელს 39 პროცენტით გაიზარდა 1958 წელთან შედარებით, ნავთობპროდუქტებისა — 8 პროცენტით, ფეროშენადნობებისა — 18 პროცენტით, მანგანუმის მადნისა და ნაგლინისა — 2 პროცენტით და ასე შემდეგ.

საქართველოს საწარმოები ამჟამად 163 სახეობის პროდუქციას აწვდიან მსოფლიოს 67 ქვეყანას. საექსპორტო ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნება სოციალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ფოლადის მილებსა და ფეროშენადნობებს ყიდულობენ ბულგარეთი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, მონღოლეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, მანგანუმის მადანსა და ნავთობპროდუქტებს იღებენ იუგოსლავია, პოლონეთი, უნგრეთი. სახარატო, სახეხი ჩარხები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, „ვოლგის“ ტიპის კატარღები ეგზავნება სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანას.

ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა სულ უფრო მეტ შეკვეთებს ასრულებს ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნებისათვის. მაგალითად, გვინეას, იემენს, კამბოჯას, ნეპალს, კენიას, სიერა-ლეონეს ახლა ეგზავნებათ ნავთობპროდუქტები, ბარიტი, სპილენძი და სამედიცინო პრეპარატები, სხვადასხვაგვარი ლითონსაჭრელი და სახეხი ჩარხები.

საქართველოს საწარმოები ბევრ პროდუქციას უგზავნიან განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ინგლისს, ავსტრიას, ჰოლანდიას, კანადას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, საფრანგეთს, შვეიცარიას, შვეიცარიას, იაპონიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მანგანუმის მადანს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ექსპორტში. საგარეო ბაზარზე ამ მადნისადმი დიდი მოთხოვნილება გაპირობებულია მისი ჩინებული ხარისხით. ასეთივე დიდი მოთხოვნაა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის პროდუქციაზე. საზღვარგარეთის ფირმები ხალისით ყიდულობენ თბილისის „ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოს“ ქარხნის მაღალხარისხოვან და ზუსტ ხელსაწყოებს. ამ საწარმოს პროდუქცია, როგორც წესი, გამოფენილია ხოლმე ყველა საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე, რომლებშიც კი საბჭოთა კავშირი მონაწილეობს.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა თავის პროდუქციას აწვდის 25-ზე მეტ ქვეყანას. სწრაფად იზრდება შეკვეთების რიცხვი, რომლებსაც საზღვარგარეთიდან იღებს საქართველოს ჩარხსაშენებელი, მანქანათსაშენებელი და ელექტროტექნიკური საწარმოები.

ჩვენ ვცდილობთ გამოვნახოთ ისეთი საქონელი, რომელზეც დიდი მოთხოვნაა საზღვარგარეთის ქვეყნებში და ხელსაყრელია გასაყიდად. ერთ-ერთი ასეთი საქონელია დარიშხანა, რომელსაც დიდი რაოდენობით ყიდულობს იაპონია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სამმართველო პასუხს აგებს იმპორტული მოწყობილობის დროულად ამუშავებისათვის. საექსპორტო საქონლის ხარისხის ინსპექციის მუშაკები ზრუნავენ იმ პროდუქციის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა გზავნის საზღვარგარეთის ქვეყნებში. ახლა რესპუბლიკის ბევრი საწარმო ამზადებს თავის ნაწარმს მონრეალის საერთაშორისო გამოფენაზე გასაგზავნად. მარტო სუვენირები დამზადდება რამდენიმე ათასი დასახელებისა.

ინდუსტრიული საქართველოს მრეწველობა განუხრელად აფართოებს საექსპორტო საქონლის ასორტიმენტს, რითაც ზრდის თავის წვლილს საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში.

კონკურსი

ლაგუნია

მოვლა

ბაზრობის დღე იყო, ხალხი სადგურში ბლომად ირეოდა. ცაბუნიამ ცოტა დაიგვიანა და სანტარულ ვაგონთან ვეღარ მიაღწია. აქეთაც მიაწყდა, იქითაც მიაწყდა — ყველა მხრიდან გამოაგდეს და სადღაც ბამბის ნაკრაულებთან მიჭედკეს.

— გამიშვი, ბიძია, შენი ჭირიმე! — დაელრიჯა გოგო ვილაცის განიერ ზურგს.

— მოიცა, გოგო, გვერდები ნუ დამამტვრიე! — უყვირა მან.

ცაბუნიამ ერთ-ორჯერ წაისლუკუნა, მერე თავი დაღუნა და ფიცარში ბუღი რომ შეიჭრება, ისე გამწარებული შეიჭრა ხალხში...

დაჭრილები უკვე გადმოჰყავდათ. წყალსაწევ კოშკთან წითელჯვრიანი მანქანები თუხთუხებდნენ.

ვილაც დედაკაცმა ხალხი გამოარღვია, საკაცესთან მიირბინა, დაჭრილ ჯარისკაცს სასთუმალთან ტკბილ კვერში გახვეული ჯანჯუხი დაუწყო, თან ისე ამოიოხრა, პირდაპირ გული ამოაყოლა.

ცაბუნიამ ერთ წუთში ჩამოუარა ბაქანზე გაფენილ დაჭრილებს. ყველანი ხალისიანად გამოელაპარაკნენ, იმედიანი სიტყვა უთხრეს, ერთმა სალდათმა თავი-შაჭრის ნატეხიც კი ჩაუდო ხელში, მაგრამ პატარა გოგო ამჯერადაც მეტი ვერაფრით გაახარეს. ვალიკო აბულაძეს ისინი არ იცნობდნენ.

ცაბუნიამ ბაქანზე ცოტა ხანს კიდევ მოიცადა. ვითომ რაიმე სასწაულს ელოდა?

არა. მან ეგრე იცოდა, აქაურობას ასე უცბად ვერ მიატოვებდა. ეს უცნობი ჯარისკაცები, წამლებისა და თუთუნის სუნი, მატარებლის რახრახი, — მთელი ეს ორომტრიალი დაკარგულ მამას ისე ცხადად მოაგონებდა, პატარა გოგო აღელვებისაგან სულს ვერ მოითქვამდა.

უეცრად ვილაცამ დაუძახა.

— პატარა ჭალო!

ლერწმის მსუბუქ საკაცედან წითელჯვარიანმა ჯარისკაცმა თავი წამოსწია და გოგონას ხელი დაუქნია.

ცაბუნია მივიდა. დაჭრილს მარჯვენა ფეხი რუმბივით ედო ბალიშზე. ცხვირის ნესტოები ისე დალეოდა, შიგ ლანდი გადიოდა.

— რა არის შენი ვალიკო აბულაძე? — ჰკითხა მან.

— მამა.

— მერე რა გატირებს, პატარა ქალო! მამაშენი კარგად არის, წამოსვლის დღეს ვნახე და თქვენთან დამაბარა, ჩემი დარდი ნუ გექნებათ. მე არაფერი მიჭირსო...

ეს უთხრა და თვალი ისე ოინბაზურად ჩაუკრა, თითქოს თვითონაც თერთმეტი წლისა იყო.

მამაშენი კარგად არისო!

ცაბუნიას ჭორფლიან ლოყებზე ცხელი სისხლი შემოასკდა, ყურებმა წვიმა დაუწყო.

დაჭრილმა მკრთალად გაუღიმა და კიდევ რალაც უთხრა, მაგრამ გულის სიღრმემდე შეძრულ გოგოს მეტი არცარა გაუგონია, არც-არა დაუნახავს.

სიხარულის ელდამ ადგილიდან ისე მოსხლიტა, სანდალზე შესაკრავი გაუწყდა. მეორე სანდალიც უმალვე წაიძრო და ფეხშიშველი მოჰკურცხლა.

„ვინ ჩქარა, შინ! დედა გავახარო...“

წითელჯვრიანი მანქანები ხიდზე გადიოდნენ, როდესაც გაწუწილი, ოფლად გაღვრილი ცაბუნია ორღობეში შეიჭრა.

ჯერ კიდევ შარშან, სანამ ქერჩის უბედურება თავს დაგვატყდებოდა, რკინიგზელთა დასასვენებელი სახლი დაკეტეს, სამი მხრიდან მწვანედ შეღებილი მესერი შემოავლეს, (მეოთხე მხრიდან რიონი ჩაუდიოდა დასასვენებელ სახლს) ალაყაფის კარებთან ჭრელად მოხატული პატარა ბუდრუნგანა დადგეს და ზედ თუნუქის აბრა ჩამოკიდეს:

„ბოსპიტალში შესვლა სასტიკად აკრძალულია“.

ბუდრუნგანას უკან ნაბადგადაფარებუ სკამლოგინზე მოხუცი ყარაული იჯდა. მუხლებზე პატარა კარდალა დაედგა და ცხელ შეჭამადს ნელ-ნელა ხვრეპდა.

ხელი უკანკალებდა. წვენი რომ არ დაეღვარა, კოვზს ქვემოდან შავი პურის ნატეხი ამოაფარა და პირთან ისე მიიტანა.

ჭამის დროს უფროსი კაცის შეწუხება არ შეიძლება, უზრდელს დაგძახებენ.

ცაბუნია მესერს მოეფარა და სანამ ყარაულმა კოვზი არ გალოკა და ცარიელი კარდალა ხის ტოტზე არ ჩამოჰკიდა, გოგოს ერთი ხმა არ გაუღია. მერე კი ალაყაფთან მიირბინა და ყარაულს უთხრა:

— გამიშვი რა, ჩემო ბაბუ!

მოხუცმა ტუჩპირი მოიწმინდა, წვერზე ხელი ჩამოისვა და შიგ ჩარჩენილი პურის ნამცეცები ჩამოიბერტყა.

— ვისთან მიდიხარ, გოგო?

— ერთი დაჭრილის ნახვა მინდა.

— ვინ არის შვილო, რა გვარია?

— გვარი არ ვიცი, ბაბუ. მამაჩემის ამხანაგია.

ცაბუნიამ ალაყაფის კარებში დატანებული პატარა ჭიშკარი შეაღო და სულმოუთქმელად მოუვლა ყარაულს გუშინ დილას სამტრედიის სადგურში მომხდარი ამბავი.

— ჰაიტ, შე გლახა, შენა! — ალერსიანად დატუქსა მოხუცმა: — გვარის კითხვა რავა დაგავიწყდა!

ცაბუნიამ დიდი ქალივით ღრმად ამოიოხრა.

— დედაც გამიწყრა! ჯერ ცრემლები გადმოყარა და მკოცნა და მკოცნა. მერე მომდგა და შავი დღე დამაყენა. „ახლა რა გვეშველება, ის კაცი როგორღა ვიპოვნოთო!“ ძლივს დავაწყნარე. ნუ გეშინია, ქვესკნელს გავხეთქავ და ვიპოვნი-მეთქი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

* გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 1, 1967 წ.

ნოვრიდან ნოემბერში



ნაპოვნი „მელის ღელეში“

ყველაფერი უბრალოდ დაიწყო, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე არქეოლოგიაში. მელაანელმა აგრონომმა არქეოლოგებს „საჩუქრად“ მიართვა პატარა ჩანთა, რომელიც სავსე იყო მინიატურული თიხის ჭურჭლით. თითოეული ჭურჭელი ზომით ათ სანტიმეტრს არ აღემატებოდა. აქ ხვნის დროს ხშირად პოულობდნენ უჩვეულო კერამიკას.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი კონსტანტინე ფიცხელაური და მისი კოლეგა შიო დედაბრიშვილი —საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები — დაინტერესდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ნაპოვნით. მათ დაიწყეს გათხრები სოფლის მოშორებით „მელის ღელის“ მიდამოებში.

მეცნიერებმა იპოვეს პატარა გორაკი, რომელსაც გარს ერტყა ფართო ორმეტრიანი თხრილი და ყორე. ეს აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის მსოფლიოში ერთადერთი სამლოცველო. 3400-3200 წლის წინათ მის ბრტყელ მწვერვალზე, რომლის დიამეტრი 40 მეტრია, წარსულის მხატვარს გამოუსახავს ადამიანებისა და ცხოველების უზარმაზარი სტილიზებული ფიგურები.

არქეოლოგებს 8-მეტრიანი კოშკი დასჭირდათ, რომ მთლიანად გადაეღოთ ბრინჯაოს საუკუნის ადამიანის თავისებური ფერწერული ნამუშევარი. ორმეტრიანი ირმები და ხარები, კობრასებრი გველები, შვილდისრიანი ქალები და კაცები ამოკვეთილია თიხის ყვითელ გრუნტზე და ინკრუსტრირებულია ნაცრით და გამომწვარი ძვლით.

გორაკის სამლოცველო დანიშნულებას უეჭველად მოწმობს სხვადასხვა მსხვერპლის შეწირვა ყორეზე. აქ იპოვეს მრავალგვარი კერამიკული ჭურჭელი, ისრის ობსიდიანისა და კაჟის ბუნიკები, ცხვრისნიღბიანი ქალების ბრინჯაოს ხუთსანტიმეტრიანი სტატუეტები, ბრინჯაოს დიადემა და მახვილების იმიტაცია, რომლებიც დამზადებულია ძალიან თხელი ლითონისაგან. ჭურჭელში და გარშემო ეყარა ბატკნის დამწვარი ძვლები. არქეოლოგებმა 75 ათასზე მეტი ნივთი და ცალკეული ფრაგმენტი მოაგროვეს.

ღვთაებათა გამოსახულებანი საშუალებას გვაძლევენ გავეცნოთ ძველი ადამიანის მსოფლმხედველობას გრაფიკულ სახეებში.

„მელის ღელე“ გვიანი ბრინჯაოს ხანის მონუმენტური ფერწერის ერთადერთი ძეგლია.

ბრინჯაოს ხანის ისტორიაში გვხვდება რიტუალური სცენების გამოსახულებანი კლდეებზე, მაგრამ ეს ადგილები მთელი ტომის სამლოცველო კი არ ყოფილა, არამედ ასახავდნენ სხვადასხვა, მაგალითად, ნადირობის სურათს. ასეთებია კობეტანასა და აფშერონის გამოსახულებანი კლდეებზე აზერბაიჯანში.

ქართველ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ სამლოცველო ადგილის „მელის ღელის“ დიდი ზომა, რომელიც ორ ჰექტარს აღწევს, მოწმობს, რომ ეს იყო არა ერთის, არამედ რამდენიმე მონათესავე ტომის სამლოცველო, რომელთა ბაზაზე შეიძლებოდა სახელმწიფო ორგანიზაციები შექმნილიყო.

მკვლევარებმა „მელის ღელის“ მახლობლად აღმოაჩინეს კიდევ უფრო დიდი სამლოცველო ნაშთი, მაგრამ უფრო გვიანდელი. არქეოლოგიური კვლევა „მელის ღელის“ რაიონში მომავალ წელს გაგრძელდება.

ეს ფოტოსურათი ამ დღეებში გადაიღო ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა თბილისის სანაპირო ბაღში, სადაც სასეირნოდ იყვნენ პატარები.

ცნობისმოყვარეთა კუთხე

ფარსულის ფურცლები

ქართველი მოღვაწენი ძველ კაპადოკიიდან

ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნე ღირსშესანიშნავი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. ამ საუკუნიდან მსოფლიოს განვითარება ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით ახალ საწყისებზე გადაინერგა: უკუგდებული მონათმფლობელური ფორმაცია ადგილს უთმობს ეკონომიური ურთიერთობის ახალ ფორმას — ფეოდალიზმს. ამას თან სდევს ძირეული ცვლილებანი კულტურულ ცხოვრებაში.

ამ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა რომის (ბიზანტიის) აღმოსავლეთის პროვინციებმა, კერძოდ, მცირე აზიის რაიონებმა. თვალსაჩინოა ამ მხრივ კაპადოკიის მნიშვნელობა.

მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში გაჩაღდა გიგანტური ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. ამ ბრძოლაში გამოჩნდა ორივე სამყაროს არაერთი ჭეშმარიტად დიდი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე.

ამ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნებიან კაპადოკიის მკვიდრნი: ბასილ კესარიელი (დიდი), გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი, რომლებმაც დაიმკვიდრეს „სამი დიდი კაპადოკიელის“ სახელი და ასე არიან ცნობილი ისტორიაში. სამივე პიროვნებას უდიდესი როლი მიუძღვის ლიტერატურისა და აზროვნების განვითარების საქმეში.

ბასილ კესარიელზე (დიდზე) ცნობილ წარმართ ფილოსოფოსსა და რიტორს ლიბანიოსს, რომელთანაც გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა ბასილს, უთქვამს: „იგი არის ჰომეროსი, იგი არის პლატონი, იგი არის არისტოტელე, რომელიც ყველაფრის მცოდნეა“. ხოლო გრიგოლ ნაზიანზელის ბიოგრაფიის ავტორი გრიგოლ პრესბიტერი ასე მიმართავდა სამწყსოს, რომლის წინაშეც წარსდგა ამ თავისი თხზულებით: „ჰოი, წმიდაო კრებულო, ნუ წარმოიდგენთ, თითქოს მე შემეძლოს ჭეშმარიტად და დაწვრილებით აღვწერო მისი მრავალი კეთილსაქმიანობა“.

კაპადოკია ძირითადად ქართველი ტომებით იყო დასახლებული.

ამჟერად გვაინტერესებს კაპადოკიელ მოღვაწეთა და, კერძოდ, ბასილ დიდისა და მისი ძმის გრიგოლის, აგრეთვე გრიგოლ ნაზიანზელის ვინაობა, სახელდობრ რომელი ეთნიკური სამყაროდან არიან ისინი გამოსული და რომელ ხალხში გაიფურჩქნა და მიმდინარეობდა მათი საერთაშორისო რეზონანსის მქონე მოღვაწეობა.

ბასილ კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი მთელი თავიანთი ცხოვრების ფესვებით ორგანულად, მშობლიურად არიან დაკავშირებული კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსახლე იმ ტომის ცხოვრებასთან, რომლებსაც უწინდელი ისტორიოგრაფია იცნობდა მესხების სახელით, ხოლო ძველი და ახალი ხანის მიჯნაზე, როგორც ამას იოსებ ფლავიუსი მოწმობს, ეწოდა კაპადოკიელები.

როდესაც გრიგოლ ნაზიანზელი და ბასილ კესარიელი ათენში სწავლობდნენ, ისინი უშუალო წევრები იყვნენ კაპადოკიელ მოსწავლე სტუდენტთა სათვისტომოსი. ასეთი სათვისტომოები, ეროვნული ნიშნის მიხედვით, ტრადიციით არსებობდა ათენის უმაღლეს სასწავლებელთან. ათენში ჩასული კაპადოკიელები, კერძოდ, გრიგოლი (რომელიც ბასილზე ადრე ჩაიდა იქ) და ბასილი სხვა რომელიმე წრეს კი არ შეერივნენ, არამედ კაპადოკიელების სათვისტომოში შევიდნენ. ამით უკეე მკაფიოდ და მკვეთრად გამოიხატა მათი ეროვნული წარმომავლობა. ამაზე გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ თავის ცნობილ (43-ე) სიტყვაში, ფრიად საყურადღებო ეპიზოდს გადმოგვცემს. გვაცნობს რა ათენში თავმოყრილ მოსწავლეთა ცხოვრების სურათს, ამბობს, რომ ახლად ჩამოსულ მოსწავლეს ათავსებდნენ „...ადრე ჩამოსულ მეგობართან ან ნათესავთან ან თანამემამულესთან, ვინც წარჩინებული იყო სოფისტიკაში“.

შემდეგ გრ. ნაზიანზელი აგვიწერს იმ სტუდენტურ-რიტუალურ ცერემონიალს, რომლითაც ახალმოსულს ხვდებოდნენ და მას მრავალ უსიამოვნებასა და დამცირებას განაცდევინებდნენ. ათენში ჩასული ბასილ გრიგოლმა მიიღო დიდი პატივისცემით და მას არ განუცდია ის დამცირება, რაც ყოველი ახალმოსულის ხვედრი იყო.

„წმ. ბასილის ცხოვრებაში“, რომელსაც ტრადიცია ამფილოქი იკონიელს მიაწერს და რომელიც ქართულად არის თარგმნილი, ბასილის ათენში სასწავლებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით, ნათქვამია, რომ მან დაუტევა „ქვეყანა თვისი, რამეთუ კაპადოკიელი იყო ნათესავით“. ეს ცნობა იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ აქ ბასილის წარმომავლობის გეოგრაფიული მომენტიც არის ნაგულისხმევი („ქვეყანა თვისი“) და ეთნიკური კუთვნილებაც არის მითითებული („კაპადოკიელი იყო ნათესავით“), ე. ი. ამით ის არის ნათქვამი, რომ ბასილი იყო იმ ქვეყნიდან, რომელსაც კაპადოკია ეწოდებოდა და სადაც ეროვნებით კაპადოკიელები ცხოვრობდნენ.

ბასილის, გრიგოლისა და სხვათა მიმართ კაპადოკიელობა ტომობრიობის მანიშნებელი რომ იყო და რომ ამასთანავე ესენი ბერძნებისაგან გამიჯნული იყვნენ ამ მხრივ — ამას თვით გრიგოლი გვიდასტურებს. თავის 33-ე სიტყვაში, მიმართავს რა კონსტანტინეპოლის მცხოვრებთ, რომლებიც თურმე უკიჟინებდნენ გრიგოლს, რომ იგი უმნიშვნელო ქალაქიდან (ნაზიანზიდან) არის, რომელიც სოფელს უფრო მიაგავს, ირონიით ეკითხება: „ამგვარად, ჩვენ არა ვართ მართალნი იმის გამო, რომ თქვენ დიადნი და სახელგანთქმულნი ხართ, ჩვენ კი — მცირედნი და მცირედთაგან მოსულნი?“ და მერე ჰკიცხავს იგი კონსტანტინეპოლის მცხოვრებთა ქედმაღლობას და საკუთარი თავის მიმართ ამბობს: „...ეს ჩვენი მჭადაგებელი უცხოელია და მოსული, იქნებ თქვას ვინმემ, შეტად შეზღუდულ და ავხორც ადამიანთაგან, — მაგრამ მოციქული? განა ისინი უცხოელნი არ იყვნენ მრავალ ხალხთა და ქალაქთათვის?...“ ხოლო 36-ე სიტყვაში, რომელიც იმათ მიმართ არის წარმოთქმული, ვინც ამბობდა, გრი-

საბავშვო ნაკვეთი

№ 2, იანვარი, 1967 წ.

ქართული მახვილსიტყვაობა

მადადაკარგული

ერთი ბოდბელი კაცი ისეთი მჭამელი იყო, რომ ჯერზე ერთ თოხლსა ჭამდა. მერე ცოტა მადა მოაკლდა და მკითხავთან წავიდა. მკითხავმა უთხრა: თელეთში უნდა წახვიდე, ილოცო და მადა მოგეცემაო. ადგა ეს კაცი და თელეთში წავიდა. საგარეჯოში დაუღამდა, იქ ერთი ნათლიმამა ჰყავდა და იმასთან მივიდა. დიასახლისი თონეში პურს აცხობდა. მისვლისთანავე ერთი ხუთი პური შეჭამა. ნათლიმამაც მოვიდა, და ძალიან გაუხარდა: როგორ გაჩნდი, საიდან, სად მიდიხარო?

— თელეთს მივდივარ, მადა არა მაქვს და უნდა ვილოცო, ეგებ ცოტა მაინც მომემატოსო.

მასპინძელმა ინდაური დაკლა და მოხარშა. გაშალეს სუფრა. მასპინძელმა ინდაურს ჭრა დაუწყო, სტუმარმა კი ჭამა. როცა ჭრა გაათავა, ხუთიოდე ნაჭერიღა დარჩა ხონჩაზე. რაც დარჩა, დაარიგეს, იმ კაცმა ორი ჯამი წვენიც ზედ მიაყოლა. კარგად იქეიფეს და დაიძინეს (აბა, ხომ არ ეტყოდნენ, რამდენსა ჭამო). დილით ადრე პატარა საუზმეც გამოაწყეს და გააცილეს. წასვლისას ნათლიმამამ უთხრა:

— ნათლი, თუ მაგაზე მეტი მადა მოგეცა, აქეთ აღარ ჩამოიაროო.

ახირებული სიცილი

ერთმა კაცმა ახირებული სიცილი იცოდა: თითქოს ხვიხვინებსო. ერთხელ ცხენმა წიხლი ჰკრა და წინა კბილები ჩაამტვრია. რომ მორჩა, შეხვდა თავის კარგ მეგობარს და შესჩივლა:

— არა ხედავ და არ გიკვირს, რა მიყო ჩემმა ცხენმა?

— მე ის მიკვირს, ან ამდენ ხანს რად გითმენდა და აქამდისაც არ დაგმართა ეგ საქმე, რაც შენ იმას აჯავრებდიო, — მიუგო მეგობარმა.

თავში ჩარტყმა ერთ მანეთად

ერთმა კაცმა მეორეს თავში ჩაარტყა. დაზარალებულმა უჩივლა სასამართლოში. მოსამართლემ დაზარალებულის სასარგებლოდ ერთი მანეთის გადახდა დააკისრა ჩამრტყმელს. დაზარალებული მივარდა მოსამართლეს, ერთი მაგრად ჩაარტყა და უთხრა:

— იმ კაცს მანეთი შენ გამოართვიო.

ორი ძმა და ერთი და

ორ ძმას ერთი და და ერთი ვირი ჰყავდათ. უფროსმა ძმამ თქვა: როდემდის უნდა გვყავდეს ჩვენი და გაუთხოვარი, გავათხოვოთო.

— მერე მზითევი რით გავუკეთოთ?

— ვირი გავყიდოთ და იმით გავუკეთოთ.

ხანი მიდიოდა, ძმები დის გათხოვებაზე ხმას არ იღებდნენ. ქალმა ითმინა. ითმინა და ბოლოს უთხრა ძმებს:

— რატომ ვირზე არაფერს ამბობთო?!

კინტოს პასუხი

ერთი კინტო უნებურად ვიღაც კაცს დაეჯახა. იმ კაცმა კინტო გამოლანძღა. კინტომ ჰკითხა:

— ძმობილო, ვინ არის შენი უფროსი?!

— ჩემი თავის უფროსი მე ვარ, — უპასუხა იმ კაცმა.

— ვაა, როგორ არა გრცხვენია, მშვენიერი კაცი ხარ და მაგისთანა სულელი უფროსი გყოლიაო, — უთხრა კინტომ.

მშვიდობა შენი, ბატონო

— **რა** ამბავია, ისაკო, სასახლეში? — ჰკითხავს მოჯამაგირეს ბატონი, რომელიც წელიწადი იყო წასული და სახლის ამბავი არა იცოდა რა.

— მშვიდობა შენი, ბატონო! მადლობა ღმერთს, მხოლოდ შენი გომა ძაღლი მოკვდა.

— უჰ, რას ამბობ, ბიჭო, კი არ მეწყინა? რამ მოკლა მერე?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ნამეტანი ხორცის ჭამას ვერ გაუძლო!

— მერე და რატომ აჭამეთ ამდენი ხორცი?

— ვინ აჭამა, ბატონო, შენი ბედაური რომ მოკვდა და გადავათვალიერეთ... მიმდგარიყო, იმდენი ეჭამა, რომ ვეღარ მოეწელებინა და გამსკდარიყო საწყალი ძაღლი.

— რას მეუბნები, ბიჭო, ჩემი ბედაური რამ მოკლა?

— საწყალი შენი ქალიშვილი ვარდიკო რომ კვდებოდა, ექიმთან გაქცეულიყო თქვენი მელქორა, იმდენი ეჭენებინა, რომ ტყუილა ვეღარც ვარდიკოს მოუსწრო ცოცხალს და ცხენიც კი გადაყვა თან.

— ბიჭო, ხომ არ დამთვრალხარ, რაებს მელაპარაკები, ვარდიკო რამ მოკლა?!

— რამ, ბატონო, და საწყალი ქალბატონი რომ დაიწვა, იმის ჯავრს ვეღარ გაუძლო.

— რა ღმერთი გიწყრება, ბიჭო! ქალბატონი რამ დაწვა?

— აბა არ გაგიგია, ბატონო! თლა რო გადაიწვა შენი სასახლე, სამზარეულო, სასიმინდე და ყველაფერი, მაშინ დაიწვა ქალბატონიც.

— როგორ მეუბნები, ბიჭო, ასეთ საშინელ ამბავს, — და წაიშინა თავ-პირში.

— შენ რა გიჭირს, ბატონო, დასტურ ბედნიერი ბრძანებულხარ, რომ აქ არ დაესწარი, თვარა თქვენც მოიკლავდით თავსო... — ანუგეშა მოჯამაგირემ თავისი ბატონი.

მოლა და პატარა ბავშვი

ღამე მოლას პატარა ბავშვმა საშინელი ჟყივილი ასტეხა.

— ადექი, მოლა, ბავშვის აკვანი დაარწიე; ბავშვი ხომ ნახევარი შენიაო, — ეუბნება ცოლი.

— დაე, ჩემმა ნახევარმა იტიროს, შენ შენს ნახევარს მოუარეო, — მიუგო მოლამ და გადაბრუნდა მეორე გვერდზე.

ცხენი ისედაც დაღლილიაო

ერთი კაცი ცხენზე იჯდა და ზურგზე ბალახი ეკიდა. ერთმა გამოიარა და უთხრა:

— კაცო, ეგ ბალახი შენ რო აგიკიდია, ცხენს აჰკიდეო.

— რას ამბობ, ცხენი ისედაც დაღლილიაო, — უპასუხა ცხენოსანმა.

სიდედრი

ერთი მღვდელი ავად გახდა. სიდედრი მოვიდა სანახავად. მღვდელს სიდედრი ძალიან მოსწონდა. შემოვიდა თუ არა სიდედრი, მღვდელი ჭერს მიაშტერდა, ვითომდა ღმერთს ელაპარაკებოდა და დაიწყო ბუტბუტი: „არა, არაა... სიდედრი, არ შეიძლება“. ასე გაიმეორა რამდენჯერმე. სიდედრი მიუხვდა, რაც ჰქონდა სიძეს გუნებაში და უთხრა:

— სიძევ, უთხარი, რომ საღამომდის მაინც დაგაცადოს.



სურათზე: მასწავლებელი ვ. ფურცელაძე ქიმიის გაკვეთილს ატარებს დაბა მაიაკოვსკის საშუალო სკოლის მერვე კლასში.

გოლს კონსტანტინეპოლის პატრიარქობა უნდაო, — გრიგოლი თავის მსმენელებს, დედაქალაქის მცხოვრებლებს, ასე მიმართავს: „განცვიფრებული ვარ! რატომ ისმენთ ბეჯითად ჩემს სიტყვებს? რატომ მოქმედობს ასე ძლიერ თქვენზე ჩემი სიტყვა, სიტყვა უცხოელისა, ალბათ სუსტი და რამე მიმზიდველობის უქონელი?“.

ამ ორივე მაგალითიდან აშკარაა, რომ გრიგოლი ბიზანტიის დედაქალაქის მცხოვრებთათვის უცხოელია, მაშასადამე, ტომობრივად იგი შორსა დგას ბერძნებისაგან. სამაგიეროდ, მის მიერ გადმოცემულ სხვა მასალაში ხაზი აქვს გასმული იმ სამყაროს, რომელიც მისთვის მშობლიური იყო და რომლის ღვიძლ შვილსაც იგი წარმოადგენდა. თავის თავზე ერთ-ერთ მოთქმაში გრიგოლი ამბობს, რომ იქნება გამოჩნდეს ვინმე და „მოიგონოს გრიგოლი, რომელიც კაპადოკიელებს დიოკესარიის პატარა ქალაქმა აღუზარდაო“.

ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, რომ გრიგოლს კაპადოკიელები, როგორც გარკვეული ეთნიკური ელემენტი აქვს წარმოდგენილი და არა ზოგადად კაპადოკიის ტერიტორიის მოსახლეობა, ხოლო როგორც დადასტურებულია, თუ ადრე „კაპადოკიელები“ აღნიშნავდა მცირე აზიის გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობას საერთოდ, შემდეგში ეს სახელწოდება გადავიდა ამ ტერიტორიაზე მოსახლე ერთ-ერთ ტომზე — მესხებზე და იგი საისტორიო წყაროებში სწორედ მესხების სინონიმად გვევლინება.

ერთ-ერთი მეგობრის მარტინიანესათვის გაგზავნილ წერილში, რომელშიც მწარედ მოთქვამს კაპადოკიის გაყოფის გამო, ბასილი წერს, რომ ის თვითონ არ მოვიდა მარტინიანესთან, რადგან: „მე მომიწოდებს ჩემი ტანჯული სამშობლო“, და მერე მოთქვამს, რომ მას (სამშობლოს) ფლეთენ და ანაწილებენ და ურჩევს, რათა მარტინიანემ სამეფო კარზე ხელისუფლების მქონეთ გაუცხადოს წერილობითი პროტესტი და ამით: „...გაუწევ რა შემოწმებას შენს სამშობლოს, თვით შეგექმნება შეგნება, რომ არ დააყოვნე იმის გაკეთება, რაც შენ ხელთ იყო, და, ამასთანავე, ტანჯულთაც საკმაოდ სცემ ნუგეშს იმით, რომ შენც მათთან ერთად იტანჯები“.

ბასილის წერილი ერთ-ერთი წარჩინებული კაბადოკიელ ავგუსტისადმი, რომელიც კესარიიდან იყო და ბიზანტიის სამეფო კარზე აღზევებული, შეიძლება ვრცლად მოვიყვანოთ, რადგან კაპადოკიის მდგომარეობასაც გვაცნობს, იმასაც გვაუწყებს, რომ კაპადოკიიდან არაერთი მოღვაწე ყოფილა დაწინაურებული ბიზანტიის სახელმწიფოში და ბასილის სამშობლოსათვის ზრუნვასაც გადმოგვცემს.

ბასილი სწერს ავგუსს: „იმ მრავალ ზნეთაგან, რომლებმაც შენ აღგამაღლა სხვების მიმართ, ისე არაფერია შენთვის უფრო დამახასიათებელი, როგორც ერთგულება სამშობლოსადმი; და შენ მის წინაშე სამართლიან ვალს იხდი, რადგან შენ აქ დაიწყე სამსახური და ისეთ მწვერვალს მიაღწიე, რომ მთელ მსოფლიოში ცნობილია შენი სახელოვნობა. და აი ეს სამშობლო, რომელმაც გშობა და აღგზარდა, დაეცა ზღაპრად მოთხრობილ დაუჯერებელ მდგომარეობამდე...

გრ. ნაზიანზელი ერთიმეორეს უპირისპირებს ბიზანტიასა და თავის სამშობლოს. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ აღზევდა თავისი სწავლულობითა და მჭერნალის ნელოვნებით მისი უმცროსი ძმა კესარიოსი ბიზანტიაში, სადაც მას უდიდესი პატივი მიაგეს. — იგი სამეფო კარის მკურნალად იყო იმ სახელმწიფოში, რომელიც, თვით გრიგოლის თქმით, მდიდარი იყო ფილოსოფიასა და სხვა მეცნიერებაში დიდად გაბრძნობილი ადამიანებით.

Ც. 2/27 [-20]

სპორტი

ალექსანდრე მეტრეველი — აზიის ჩემპიონი



თითქმის ერთი თვე გამოდიოდნენ ინდოეთის საჩოგბურთო კორტებზე საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია, რენა ახვლედიანი და ალა ივანოვა: შტატების პირველობა, ინდოეთის ღია ჩემპიონატი (მყარ კორტებზე) და ბოლოს აზიის კონტინენტის ღია პირველობა (ბალახიან კორტებზე). ყველა ამ ასპარეზობაში საქართველოს წარგზავნილებმა რამდენიმე პირველი ადგილი დაიკავეს. ინდოეთის ჩემპიონები გახდნენ ა. ივანოვა, ა. ივანოვა-რ. აბაშიძე, ა. ივანოვა-ა. მეტრეველი, ა. მეტრეველი-ო. კაკულია. ამ ასპარეზობაში ქართველმა სპორტსმენებმა 8 პრიზი მოიპოვეს. კიდევ უფრო ტრიუმფალური იყო აზიის ღია ჩემპიონატი. აქ შესანიშნავ შედეგს მიაღწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა 22 წლის ალექსანდრე მეტრეველმა, ჯერ იყო და მან დაამარცხა ძლიერი ინდოელი მიზრა — 9:7, 6:1, 6:2, შემდეგ ბრწყინვალე რეგანში აიღო ბრაზილიელ მანდარინოსთან, ინდოეთის პირველობაში დამარცხებისათვის — 3:1, დაამარცხა 5 საათიან ძნელ ბრძოლაში ინდოეთის მეორე ჩოგანი მუკერჯი — 6:4, 6:2, 4:6 6:8, 6:1, და ბოლოს ფინალში მოუგო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩემპიონს ისმაილ ელ შაფეის 6:3, 8:6, 6:4. ქართველმა ჩოგბურთელმა თავის ტიტულებს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონისას, სკანდინავიის ქვეყნებისას და ინდოეთისას მოუმატა აზიის უდიდესი კონტინენტის ჩემპიონის სახელი.

ეს ტურნირი რიგით უკვე მესამე იყო, სადაც ფინალში ერთმანეთს რ. აბაშიძე და ა. ივანოვა ხვდებოდნენ. მათ შორის ანგარიში 1:1 იყო. ამჯერად კი რ. აბაშიძემ დამაჯერებლად დაამარცხა მეგობარი 6:4, 6:0 და ისიც აზიის ჩემპიონი გახდა. კიდევ ერთხელ გაიმარჯვეს ფინალში ა. ივანოვა-ა. მეტრეველის შერეულმა წყვილმა და ამ თანრიგშიც პირველი ადგილი მოიპოვეს.

აზიის ღია ჩემპიონატის შემდეგ ა. მეტრეველი სკანდინავიაში გაფრინდა ამ ქვეყნების ჩემპიონის ტიტულის დასაცავად. ვუსურვოთ წარმატება ქართველ ჭაბუკს.

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ტულაში მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა ჩემპიონატი ჭადრაკში. გოგონათა ასპარეზობაში გამოდიოდა 24 მოჭადრაკე (ტურნირი შვეიცარული სისტემით მოეწყო). აქ პირველი ადგილი დაიკავა თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ციური კობაიძემ, რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 8 ქულა შეაგროვა, სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება (გოგონათა შორის) და სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

შეიძლება ტრაბახში ჩამოგვართვან, მაგრამ ფაქტი ჯიუტი რამ არის და სინამდვილეს ვერსად გაექცევი. არამარტო საბჭოთა კავშირში, მსოფლიოშიც ქალთა ჭადრაკში წამყვანი პოზიციები საქართველოს ეკუთვნის. ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ჩემპიონი და უძლიერესი მოჭადრაკეა. ნანა ალექსანდრია — სსრ კავშირის ოქროს მედლის მფლობელი და პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე (საბჭოთა ჭადრაკი ხომ წამყვანია და აქ პირველობის მოპოვება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეს თუ შეუძლია), და ბოლოს ახალგაზრდა ციური კობაიძე — გოგონათა შორის უპირველესი. ყველა საჭადრაკო საფეხური მტკიცედ უპყრიათ ქართველ ქალიშვილებს და როგორც სჩანს ეს მდგომარეობა საკმაოდ მყარია.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ვაჟებზე. ახლა თბილისში XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატი უკვე დასასრულს უახლოვდება, რომელიც აგრეთვე შესარჩევი ტურნირიც არის. აქედან 4 გამარჯვებული საზონთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას ღებულობს. აქ გამოდის ქართველი ოსტატი ბ. გურგენიძე. მართალია მას მზადებისათვის ძალიან ცოტა დრო ჰქონდა, რადგან კიევში, როგორც მწვრთნელი ნანა ალექსანდრიას ახლდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ბუხუტი მთელ რიგ პარტიებს ბრწყინვალედ ატარებს. მას დღეისათვის 8 ქულა აქვს, ეს რასაკვირველია ცოტაა, მაგრამ არც იმდენად.

დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ხელბურთში. საბჭოთა გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა. ეს წარმატებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ხელბურთელები მსოფლიოს პირველობაზე მეხუთე ადგილის ზემოთ არ ასულან, თუმცა დანიასთან მაინც უნდა მოეგოთ (ყოველთვის უგებდნენ მანამდე და მერეც), მაგრამ ვერ გავიდნენ ნახევარფინალში და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ. მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ მონაწილეთა შორის განსაკუთრებით ვ. კლიმოვი და ჯ. ცერცვაძე გამოჰყო. თბილისის ბურევესტნიკიდან საბჭოთა ნაკრებში კიდევ იყვნენ მეკარე ჯ. აბაიშვილი და თავდამსხმელები ი. ფხაკაძე, ა. ექსეულიძე.

საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად იუგოსლავიას გაემგზავრა საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები. ახალმა მწვრთნელმა მიხეილ იაკუშინმა (ჩვენში მეტად პოპულარული ფეხბურთის სპეციალისტი, სხვადასხვა წლებში წვრთნიდა თბილისის „დინამოს“) გამოიძახა 19 ფეხბურთელი, რომელთა შორის 12 ლონდონის ჩემპიონატის მონაწილეა. ქართველ სპორტსმენებიდან ნაკრებში არიან მცველი მურთაზ ხურცილავა, ნახევარმცველი გიორგი სიჭინავა და თავდამსხმელი სლავა მეტრეველი.

წელს საბჭოთა გუნდს მეტად პასუხსაგები შეხვედრები მოელის. მთავარი მათ შორის, რასაკვირველია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია. მ. იაკუშინს „მელას“ ეძახიან კულისებში და ამდენად საფიქრებელია, რომ ნაკრების შემადგენლობა პირველ შეკრების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ოლიმპიური ნაკრებიც შეუდგა მზადებას და აქაც სამი ქართველი ფეხბურთელია შეყვანილი — მეკარე რამაზ ურუშაძე, ახალგაზრდა მცველი თამაზ შერგელაშვილი და თავდამსხმელი ელგუჯა ხუციშვილი.

ქუთაისის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ გადმოვიდნენ ნახევარმცველი სერგო კუტივაძე და თავდამსხმელი გივი ნოდია. ეს კარგი შენაძენია დინამოსათვის, მაგრამ დანაკლისი ქუთაისელთათვის, რადგან ორივენი „ტორპედოში“ წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ.

ზამთარი იწურება (ყოველ შემთხვევაში ჩვენში). რაღა დარჩა, თებერვალი, მარტი და დათბება, თუმცა ფეხბურთის მოყვარულთათვის გაზაფხული თებერვალში დაიწყება. თბილისში 15 თებერვლიდან გაიმართება ფეხბურთის გუნდების ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კიევი „დინამო“ (გასული წლის ჩემპიონი), თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ და სხვ. სულ ექვსი გუნდი. თუ როგორ ემზადებიან ამ ტურნირისათვის, რომელიც ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია, თბილისელები და ქუთაისელები, ამაზე შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

ო. ლორთქიფანიძე.

• • •

სურათზე: ქართველი ჩოგბურთელი, აზიის 1967 წლის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული ალექსანდრე მეტრეველი.

დაგეძებენ, მოგელიან

კეჩუაშვილს ოთარ ნიკოლოზის-ძეს, დაბადებულს 1925 წელს ქ. თბილისში, ეძებს დედა — გეგე ზურაბის ასული ფალავა, და — ნანი ნიკოლოზის ასული კეჩუაშვილი.

ღლონტს ვახტანგ ბიძბორის-ძეს, დაბადებულს 1919 წელს, მახარაძის რაიონის სოფ. დვაბზუში, ეძებენ ძმა — გივი, დები — იულია, გუგული, კირა და ტანია ღლონტები.

ლეგანიძეს ლევანი ნიკოლოზის-ძეს, დაბადებულს 1919 წელს ონის რაიონის სოფ. კვაშხეთში, ეძებენ დედა — კელაგია ჭიტესას ასული ლეგანიძე და და — სულიკო ნიკოლოზის ასული კირკვალიძე-ლეგანიძე.

ანდრონიკაშვილს ზურაბ (ზუგია) დიმიტრის-ძეს, დაბადებულს 1910 წელს. ქ. თბილისში, ეძებენ დები — ქეთო და გაგულია ანდრონიკაშვილები.

სხირტლაძეს ვალერიან სიმონის-ძეს, დაბადებულს 1907 წელს ონის რაიონის სოფ. მთის კალთაში, ეძებს ძმა — ერმილე სხირტლაძე.

ჟოჭკაშვილს ივანე ანდრიას-ძეს, დაბადებულს 1921 წელს თბილისში, ეძებს დედა — ნინო ჟოჭკაშვილი.

დათიკაშვილს გიორგი ალექსანდრეს-ძეს, დაბადებულს 1921 წელს თბილისში, ეძებს დედა — ქეთევან ზაქარიას ასული დათიკაშვილი.

გზიკაძეს გიორგი იოსების-ძეს, დაბადებულს 1918 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ თერნალში, ეძებს ძმა — გზიკაძე შალვა იოსების-ძე.

ცქვიტინიძეს დიმიტრი (ჯოია) ვლადიმერის-ძეს, დაბადებულს 1922 წელს მახარაძის რაიონის სოფ. გახვში, ეძებს და — ვალია ვლადიმერის ასული ცქვიტინიძე.

სტეფანოვს სტიოპა არამის-ძეს, დაბადებულს 1918 წელს ქ. გორში, ეძებს დედა — მარგარიტა მელიქის ასული სტეფანოვი.







სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ივანე ქოქსაშვილი, ვახტანგ ღლონტი და ოთარ კეჩუაშვილი.

გთხოვთ სქესთან

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ვისაუბრეთ

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.